ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 189

ქალაქი ქუთაისი 21 ივნისი 2023 წელი

„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა
რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების
განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის
საკრებულო ბიუროს 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების
თაობაზე

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2023 წლის 21 ივნისის გადაწყვეტილების თანახმად, **ბ რ ძ ა ნ ე ბ :**

მუხლი 1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის $ბ^1$ ქვეპუნქტის, 28-ე მუხლის მე-2 და 2^3 პუნქტების, 30^1 მუხლის მე-3 პუნქტის, „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 14 ივლისის №1 დადგენილების დანართის მე-19 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და 36-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, 2023 წლის 21 ივნისს, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ **„ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“** მიიღო შემდეგი **გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა:**

„მუხლი 1. განისაზღვროს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში კომისიის წევრთა რაოდენობა შემდეგნაირად:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 11 წევრი;
2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – საკრებულოს 16 წევრი;
3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – საკრებულოს 15 წევრი;
4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – საკრებულოს 13 წევრი;
5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – საკრებულოს 15 წევრი;

მუხლი 2. დამტკიცდეს პარტია **„ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ქართული ოცნების“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო – საბიუჯეტო კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 8 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 6 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 7 წევრის ოდენობით.

მუხლი 3. დამტკიცდეს პარტია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** წარდგინებით, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არჩეულ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთაგან საკრებულოში შექმნილი ფრაქცია **„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“** მიერ, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში წევრთა წარდგენის პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში – 5 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 6 წევრის ოდენობით.

მუხლი 4. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობებში საკრებულოს იმ წევრთა პროპორციული წარმომადგენლობის ახალი კვოტები, რომლებიც გაერთიანებულნი არ არიან არცერთ ფრაქციაში:

1. საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიაში – 1 წევრის ოდენობით;

2. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიაში – 3 წევრის ოდენობით;

3. საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და საქალაქო მეურნეობის კომისიაში – 2 წევრის ოდენობით;

4. საკრებულოს კულტურის, განათლების, ახალგაზრდობის საქმეთა და სპორტის კომისიაში - 2 წევრის ოდენობით;

5. საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიაში – 2 წევრის ოდენობით.

მუხლი 5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2022 წლის 22 დეკემბრის გადაწყვეტილება. “

მუხლი 2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. ბრძანება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე _____ ირაკლი შენგელია